

სიძულვილის ენა წინასაარჩევნო პერიოდში

მედიის მონიტორინგი

შესავალი

მედიის მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციაა, რომელიც პროფესიონალური და დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მედიის მონიტორინგის პროექტი, რომელსაც „ინტერნიუსი-საქართველო“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთად ახორციელებს, მიზნად ისახავს წინასაარჩევნო პერიოდში ქართულ მედიაში პოლიტიკური სუბიექტების მისამართით და მათი მხრიდან გამოხატული სიძულვილის ენის გამოვლენას.

სიძულვილის ენა გამოხატვის ფორმაა, რომელიც მიმართულია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ რომელიმე სოციალური ან ეთნიკური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გამო, როგორცაა რასა, გენდერული იდენტობა, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური აღმსარებლობა ან მისი არქონა, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა, გარეგნობა (სიმაღლე, წონა, კანის ფერი და სხვა.) და განსაკუთრებულად არაკორექტულად მოხსენიება (შედარება ცხოველებთან, ვამპირებთან, მუტანტებთან და ა.შ). ტერმინი მოიცავს როგორც წერილობით, ასევე ზეპირი კომუნიკაციის ფორმებს. სიძულვილის ენის გამოყენების ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი დამაკნინებელი და სტერეოტიპულად უთანასწორო დამოკიდებულების გამოხატვა ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ.

სიძულვილის ენის სამართლებრივი დეფინიცია საკანონმდებლო აქტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში არ არსებობს. ეს ტერმინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა, როცა 1966 წელს მიიღეს კონვენცია "რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ". ამ დოკუმენტში პირდაპირ მოუწოდებდნენ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სიძულვილის ენა, ანუ რასობრივ უპირატესობებზე დაფუძნებული იდეები, მოსაზრებები, ასევე ამ მოტივით ძალადობის წაქეზება კანონით დასჯადად გამოეცხადებინათ.

ქართული კანონმდებლობით, სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის. თუმცა კანონი „გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, ლიცენზიის მფლობელ მედია საშუალებებს ისეთი ტერმინების გამოყენებას უკრძალავს, რომელიც რომელიმე ჯგუფს შეურაცხყოფს.

საქართველოს კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლის თანახმად: “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.”

ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის პრეამბულის მე-7 პუნქტის თანახმად: ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

თუმცა კონსტიტუციის თუ სხვა საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად საქართველოში მწვავედ დგას შემწყნარებლობის და განსხვავებული აზრის მიღების პრობლემა. ამის გათვალისწინებით საკმაოდ მნიშვნელოვანია მედიის როლი ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოებაში სწორი ღირებულებების დამკვიდრების საქმეში, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან პერიოდში როგორც წინასაარჩევნო პერიოდი. მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისას დაცული იყოს ძირითადი ჟურნალისტური სტანდარტები, როგორცაა ბალანსი, ობიექტურობა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებების პატივისცემა.

მონიტორინგისთვის შერჩეული მედია საშუალებები:

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით "ინტერნიუსი-საქართველო" შემდეგი მედიასაშუალებების მონიტორინგს ახორციელებს:

- **ტელეკომპანიები:**
 - "საზოგადოებრივი მაუწყებელი", "რუსთავი-2", "იმედი", "მაესტრო", "მე-9 არხი", "კავკასია", რეალ ტვ" –19:00-24:00 პერიოდში გასული მთავარი საინფორმაციო გამოშვებები და პოლიტიკურ თოქ-შოეუები;
- **რადიოები:**
 - საზ.მაუწყებლის რადიო, იმედი, მწვანე ტალღა, ფორტუნა, აფხაზეთის ხმა, პალიტრა, უცნობი - სადამოს საინფორმაციო გამოშვებები;
- **ბეჭდური მედია საშუალებები:**
 - "ალია", "ქრონიკა", "ასავალ-დასავალი", "კვირის პალიტრა", "24 საათი", "რეზონანსი" , "ახალი თაობა", „პრაიმტაიმი“ და ჟურნალებს: "გზა", "თბილისელები", "რეიტინგი", "სარკე", "ტაბულა";
- **ინტერნეტ-გამოცემები:** www.netgazeti.ge, www.liberali.ge, www.tribuna.ge, www.droni.ge, www.presa.ge, www.news.ge, www.for.ge.

მონიტორინგის სუბიექტები

ყველა ზემოთჩამოთვლილ მედიასაშუალებაში არჩევნებამდე ორი თვის განმავლობაში მოხდება შემდეგი სუბიექტების მიმართ და ასევე მათი მხრიდან გამოხატული სიძულვილის ენის მონიტორინგი:

1. პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი);
2. პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩევლები, პრეს-სპიკერი);
3. მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები);

4. ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ);
5. ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები);
6. ცენტრალური საარჩევნო კომისია;
7. არჩევნების დამკვირვებლები;
8. ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).
9. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
10. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;
11. კოალიცია ქართული ოცნება;
12. თავისუფალი დემოკრატები;
13. ეროვნული ფორუმი;
14. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
15. საქართველოს კონსერვატიული პარტია
16. ხალხის პარტია;
17. საქართველოს გზა;
18. თავისუფალი საქართველო;
19. ახალი მემარჯვენეები;
20. დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის;
21. ეროვნულ დემოკრატიული პარტია;
22. ლეიბორისტული პარტია;
23. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს;
24. საქართველოს დემოკრატიული პარტია;
25. ქართული დასი;
26. ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა;
27. ევროპელი დემოკრატები;
28. ამომრჩეველთა ლიგა;
29. სახალხო კრება;

30. პოლიტიკური გაერთიანება „მერაბ კოსტავას საზოგადოება“;
31. „მწვანეთა პარტია-გიორგი გაჩეჩილაძე“;
32. „ტრადიციონალისტები“;
33. პოლიტიკური გაერთიანება „დემოკრატიული განახლება - ჩვენი საქართველო გაბრწყინდება“;
34. პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“;
35. „თეთრები“;
36. „საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი“;
37. „საქართველოს სახალხო ფრონტი“;
38. „ჩვენი ქვეყანა“;
39. პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“;

მონიტორინგის მეთოდოლოგიის აღწერა

მედიის მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ეტაპებისგან, რომელიც ეფუძნება მსოფლიოს 35 ქვეყანაში აპრობირებულ მეთოდოლოგიას.¹ მედიასაშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, ტელევიზიების, რადიოების, გაზეთების და ინტერნეტგამოცემების მონიტორინგისთვის ოდნავ განსხვავებული მეთოდოლოგიები გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, იზიარებს თუ არა ჟურნალისტი ან რედაქცია რესპოდენტის პათოსს, მკვლევარები მონიტორინგის პროცესში ითვალისწინებენ იმ ფაქტს, მოახდინა თუ არა ცალკეულმა მედიასაშუალებამ სიძულვილის ენის ტირაჟირება.

¹ მონიტორინგი ჩატარდება ორგანიზაცია MEMO 98-ის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებული მედია ორგანიზაციაა სლოვაკეთში.

სატელევიზიო მონიტორინგი

1. რაოდენობრივი კომპონენტი

მონიტორინგის რაოდენობრივი კვლევის ეტაპი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომელიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს.

1.1. სუბიექტებისთვის დათმობილი დრო

ითვლება დრო (წამობრივად), როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტში წარმოდგენილი ნებისმიერი რესპონდენტი და ხდება სიძულვილის ენის გამოყენება. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ) და ეს მასალა სიძულვილის ენას შეიცავს. ამასთან ითვლება დრო, როდესაც თავად სუბიექტი საუბრობს სიძულვილის ენის გამოყენებით სხვა სუბიექტზე ან ნებისმიერ სხვა ადამიანზე/ადამიანთა ჯგუფზე.

წყარო

მონაცემების ექსელის ცხრილში შეტანისას, წყაროს გრაფაში შეგვყავს სიძულვილის ენის შემცველი განცხადების ავტორი. როდესაც სიძულვილის ენას იყენებს მონიტორინგის სუბიექტების ჩამონათვალში მოცემული ნებისმიერი კომპონენტი (ჩამონათვალი იხილეთ 5-ე გვერდზე), „წყაროს“ გრაფაში შეგვყავს *ეს სუბიექტი ზუსტად ისე როგორც ჩამონათვალშია მოცემული*. როდესაც სიუჟეტიდან გამომდინარე გაურკვეველია სიძულვილის ენის შემცველი განცხადების ავტორი და ჟურნალისტი ფრაზას მისი მითითების გარეშე ახმოვანებს, „წყაროს“ გრაფაში მონიტორი შეიყვანს *ჟურნალისტს*. იმ შემთხვევაშიც როდესაც ჟურნალისტი საკუთარ აზრს აფიქსირებს, რომელიც სიძულვილის ენას შეიცავს, „წყაროდ“ *ჟურნალისტი* გატარდება. როდესაც განცხადების ავტორი რომელიმე მუსიკოსი, დამსახურებული ხელოვანი, მწერალი, მოქალაქე, მსახიობი ან მსგავსი კატეგორიის ადამიანია, „წყაროს“ გრაფაში მას შევიყვანთ კრებითი

სახელწოდებით „მოქალაქე“. როდესაც განცხადების ავტორი ექსპერტი ან რომელიმე სპეციალისტია, „წყაროს“ გრაფაში მას შევიყვანთ როგორც „ექსპერტს“.

2. თვისებრივიკომპონენტი:

2.1. თემა

მონიტორინგი უტარდება არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სიუჟეტებს, არამედ ყველა სიუჟეტს, სადაც მონიტორინგის სუბიექტების მიმართ (ან მათი მხრიდან) გამოყენებულია სიძულვილის ენა. ყოველი სიუჟეტის მონიტორინგის დროს აღირიცხება ის „თემა“, რის ნიადაგზეც მოხდა სუბიექტის წინააღმდეგ სიძულვილის ენის გამოყენება (ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური, იდეოლოგიური, გენდერული...)

2.2. კადრებით/მუსიკით მანიპულირება

ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები, ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც უარყოფით ასოციაციებს იწვევს და სიძულვილის ენის შემცველია.

3. სიძულვილის ენის გამოყენების მაგალითები:

თუ სიუჟეტის ავტორი ან რესპონდენტი ნეგატიურად მოიხსენიებს სუბიექტს და ხაზს უსვამს მის ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ აღმსარებლობასან მის არქონას, სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობას, ასაკს, შეზღუდულ შესაძლებლობას, ენას, იდეოლოგიას, სოციალურ კლასს, გარეგნობას (სიმაღლე, წონა, კანის ფერი და სხვა.) და ა.შ. კონტექსტთან შეუსაბამოდ, მონიტორინგი მიიჩნევს, რომ სუბიექტის მიმართ გამოყენებული იქნა სიძულვილის ენა. მაგალითად:

„ომი დაიწყო სააკაშვილმა! სააკაშვილი სომეხია! (..)“

საკაშვილი წიგნებთან ომს აგრძელებს! სააკაშვილი

სომეხია! (..) დიახ, სააკაშვილის ხელისუფლება გადაყრის 4

მილიონ წიგნს და ააშენებს 4-ვარსკვლავიან სასტუმროს!

***სასტუმროების აშენება და საქართველოს დაქვევება! - ასეთია
სომეხი პრეზიდენტის ანტიქართული პოლიტიკა.***

ამ შემთხვევაში დაფიქსირდება, რომ პრეზიდენტის მისამართით გამოყენებულ იქნა სიძულვილის ენა და დაითვლება ამ განცხადებისთვის დათმობილი დრო წამებში. აუცილებელია, რომ სიძულვილის ენის აღმოჩენის შემდეგ მონიტორმა ცალკე ფაილში შეინახოს/გადმოწეროს თითოეული ციტატა თუ სიძულვილის ენის შემცველი ტერმინი/ვიდეო/აუდიო მასალა.

კიდევ ერთი მაგალითი, როდესაც პოლიტიკური პარტიის წევრი საკუთარი კოლეგის მიმართ ეთნიკურ ნიადაგზე ახდენს სიძულვილის ენის გამოხატვას:

"გიორგი მასალკინი არ მინდა ვთქვა ..არ არის გენით...მოკლედ, ვთქვათ, უნდა გავხსნათ, არ არის გენით ქართველი. ვერ მიხვდა ამან რა არის საქართველო.ეს ვერ გაიგო ამ კაცმა, ოშკი გაგონილი არ აქვს, სანთელი არ დაუნთია, კაცო. ოშკი არ არის მთავარი, ქართველობაა მთავარი," - მურმან დუმბაძის განცხადება.

გამომდინარე იქიდან, რომ მურმან დუმბაძე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრია და მის მიერ გაკეთებული განცხადების ადრესატი (გიორგი მასალკინი) „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი იყო, ეს განცხადება ავტომატურად ექცევა ჩვენი მონიტორინგის ფარგლებში (ეს ორივე პარტია შედის მონიტორინგის სუბიექტების ჩამონათვალში. იხ, გვერდი 5). სუბიექტის კატეგორიაში ჩაიწერება „გიორგი მასალკინი“, სუბიექტის აფილიაციაში - „რესპუბლიკური პარტია“, წყაროში - „მურმან დუმბაძე“, წყაროს აფილიაციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, დროის გრაფაში - ამ განცხადებისთვის დათმობილი დრო (წამებში), თემაში კი - „ეთნიკური“ (თუ რის ნიადაგზე მოხდა სიძულვილის ენის გამოყენება).

კიდევ ერთი მაგალითი ქართული პოლიტიკიდან:

***"ჩვენი სომეხი კოლეგა, ბატონი ჯონდი ბალათურიანი თავის
სომხურაზრზე დარჩა," - აზერ სულეიმანოვი.***

ეს შემთხვევა გატარებული იქნება როგორც ჯონდი ბალათურის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენება, რადგან აზერ სულეიმანოვმა სომხური ეთნიკური წარმოშობა ინტერნიუსი - საქართველო

წარმოაჩინა როგორც დამაკნინებელი გარემოება და სრულიად კონტექსტიდან ამოვარდნილად გაუსვა ხაზი დეპუტატის ეთნიკურ წარმომავლობას. სუბიექტის გრაფაში გატარდება „ჯონდი ბალათურია“, წყაროში - „აზერ სულეიმანოვი“, დროში - ამ განცხადებისთვის დათმობილი დრო (წამებში), თემაში - „ეთნიკური“ (თუ რის ნიადაგზე მოხდა სიძულვილის ენის გამოყენება).

თუ მედიაში პოლიტიკური სუბიექტების მიმართ ხდება არასწორი და შეურაცხყოფელი ტერმინის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში მათდამი ნეგატიური წარმოდგენების შექმნას ან გაძლიერებას, მიჩნეული იქნება, რომ გამოყენებული იქნა სიძულვილის ენა. მაგალითად:

*"გაიგეთ, შეიგნეთ, რომამ პიდარასტი და სექტანტი
ხელისუფლების საქართველოარასოდეს გაბრწყინდება..."*

ან

*"თუ მართლა ასეთუ გახსნილები ბრძანდებით,
ნახევარი ხელისუფლება პედერასტები ხართ
და გამოეთრიეთ ვარდისფერ კოლოტებში."*

ამ შემთხვევაშიც აღინიშნება, რომ ხელისუფლებისადმი გამოყენებულ იქნა სიძულვილის ენა და დაითვლება ამ განცხადებისთვის დათმობილი დრო წამებში.

რადიო არხების მონიტორინგი

რადიოების მონიტორინგისას სატელევიზიო მონიტორინგის მსგავსი მეთოდოლოგია გამოიყენება, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტორს, რომ რადიოს შემთხვევაში აზრს კარგავს გამოსახულებასთან დაკავშირებული დეტალები და კადრებით მანიპულაციების შესაძლებლობები.

გაზეთების მონიტორინგი

რაოდენობრივი კვლევის ეტაპზე მონიტორები გაზეთებში ზომავენ შესაბამის სუბიექტებისთვის დათმობილ სივრცეს კვადრატულსანტიმეტრებში, როდესაც მათზე სიძულვილის

ენის გამოყენებით იყო საუბარი და ასევე როდესაც თავად მონიტორინგის სუბიექტები საუბრობდნენ სიძულვილის ენის გამოყენებით. მონიტორინგის ქვეშ ექცევა ფოტო მასალაც, რაც ტექტის მსგავსად სმ2-ში ითვლება.

მაგალითად, თუ სტატიის ავტორი ან რესპონდენტი ნეგატიურად მოიხსენიებს სუბიექტს და ხაზს უსვამს მის ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ აღმსარებლობას ან მის არქონას, სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობას, ასაკს, შეზღუდულ შესაძლებლობას, ენას, იდეოლოგიას, სოციალურ კლასს, გარეგნობას (სიმაღლე, წონა, კანის ფერი და სხვა.) და ა.შ. კონტექსტთან შეუსაბამოდ, მონიტორინგი მიიჩნევს, რომ სუბიექტის მიმართ გამოყენებული იქნა სიძულვილის ენა. მაგალითად:

„ომი დაიწყო სააკაშვილმა! სააკაშვილი სომეხია! (..) სააკაშვილი წიგნებთან ომს აგრძელებს! სააკაშვილი სომეხია! (..) დიახ, სააკაშვილის ხელისუფლება გადაყრის 4 მილიონ წიგნს და ააშენებს 4-ვარსკვლავიან სასტუმროს! სასტუმროების აშენება და საქართველოს დაქვევება! - ასეთია სომეხი პრეზიდენტის ანტიქართული პოლიტიკა.“

ამ შემთხვევაში დაფიქსირდება, რომ პრეზიდენტის მისამართით გამოყენებულ იქნა სიძულვილის ენა და დაითვლება ამ წინადადებისთვის დათმობილი საგაზეთო ფართობი.

კიდევ ერთი მაგალითი, როდესაც პოლიტიკური პარტიის წევრი საკუთარი კოლეგიის მიმართ ეთნიკურ ნიადაგზე ახდენს სიძულვილის ენის გამოხატვას:

„გიორგი მასალკინი არ მინდა ვთქვა რა..არ არის გენით...მოკლედ, ვთქვათ, უნდა გავხსნათ, არ არის გენით ქართველი. ვერ მიხვდა ამან რა არის საქართველო. ეს ვერ გაიგო ამ კაცმა, ოშკი გაგონილი არ აქვს, სანთელი არ დაუნთია, კაცო. ოშკი არ არის მთავარი, ქართველობაა მთავარი,“- მურმან დუმბაძის განცხადება.

გამომდინარე იქიდან, რომ მურმან დუმბაძე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრია და მის მიერ გაკეთებული განცხადების ადრესატი (გიორგი მასალკინი) „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი იყო, ეს განცხადება ავტომატურად ექცევა

ჩვენი მონიტორინგის ფარგლებში (ეს ორივე პარტია შედის მონიტორინგის სუბიექტების ჩამონათვალში. იხ, გვერდი3). სუბიექტის კატეგორიაში ჩაიწერება „გიორგი მასალკინი“, სუბიექტის აფილიაციაში - „რესპუბლიკური პარტია“, წყაროში - „მურმან ღუმბაძე“, წყაროს აფილიაციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, დროის გრაფაში - ამ განცხადებისთვის დათმობილი ფართობი (სმ2), თემაში კი - „ეთნიკური“ (თუ რის ნიადაგზე მოხდა სიძულვილის ენის გამოყენება).

თუ ბეჭდურ მედიაში პოლიტიკური სუბიექტების მიმართ ხდება არასწორი და შეურაცხმყოფელი ტერმინის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში მათდამი ნეგატიური წარმოდგენების შექმნას ან გაძლიერებას, მიჩნეული იქნება, რომ გამოყენებული იქნა სიძულვილის ენა. მაგალითად:

*"გაიგეთ, შეიგნეთ, რომამ პიდარასტი და სექტანტი
ხელისუფლების საქართველოარასოდეს გაბრწყინდება..."*

ან

*"თუ მართლა ასეთუ გახსნილები ბრძანდებით,
ნახევარი ხელისუფლება პედერასტები ხართ
და გამოეთრიეთ ვარდისფერ კოლოტებში."*

ამ შემთხვევაშიც აღინიშნება, რომ ხელისუფლებისადმი გამოყენებულ იქნა სიძულვილის ენა და დაითვლება ამ წინადადებისთვის დათმობილი საგაზეთო ფართობი.

მონიტორინგს დაექვემდებარება არა მარტო ტექსტი, არამედ ყველა ის ფოტო, თუ გრაფიკული გამოსახულება, რომელიც სიძულვილის ენას შეიცავს.

თვისებრივი კვლევის ეტაპზე დაკვირვება მოხდება თემაზე, რომლის ნიადაგზეც ხდება სიძულვილის ენის გამოყენება, სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების პირველ გვერდზე მოხვედრის სიხშირეზე და ასევე ფოტო/გრაფიკული გამოსახულებებით მანიპულაციებზე.

მონიტორინგი უტარდება არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა პუბლიკაციას, სადაც მონიტორინგის სუბიექტების მიმართ გამოყენებულია სიძულვილის ენა. ანალიზში გამოვლინდება არსებობს თუ არა კონკრეტული სუბიექტის რაიმე თემებთან დაკავშირებით, სიძულვილის ენის გამოყენების კონტექსტში გაშუქების ტენდენცია.

მონიტორინგისას ჩაითვლება, რომ ადგილი ჰქონდა ფოტო და გრაფიკული გამოსახულებებით მანიპულირებას, როცა სტატიაში გამოყენებული ფოტოები ან ნებისხმიერი სხვა გრაფიკული გამოსახულება ისეა წარმოდგენილი, რომ მკითხველში უარყოფით ასოციაციებს იწვევს და სიძულვილის ენის გავრცელებას ემსახურება.

ინტერნეტ-გამოცემების მონიტორინგი

ინტერნეტ-გამოცემების შემთხვევაში გამოყენებული იქნება პრესის მონიტორინგისას გამოყენებული მეთოდოლოგია, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ფართობის დათვლის ნაცვლად, მონიტორი დაითვლის თუ რამდენ სიტყვას შეიცავს სიძულვილის ენის შემცველი განცხადება/წინადადება. რაც შეეხება ფოტო მასალას, ის არ დაითვლება რაოდენობრივად და მხოლოდ თვისებრივად შეფასდება.

მედია მონიტორინგის შედეგები

მთავარი მიგნებები

- ქართულ მედიაში სიძულვილის ენის გამოხატვის ფორმებიდან ყველაზე ხშირად *განსაკუთრებით არაკორექტული* დამოკიდებულების გამომხატველი შეფასებები გვხვდება;
- სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად *პრეზიდენტის, ხელისუფლების და კოალიცია ქართული ოცნების* მიმართ გამოიყენება;
- რაც შეეხება წყაროს, სიძულვილის ენის ტირაჟირებას ყველაზე ხშირად *ლეიბორისტული პარტია, ჟურნალისტი, მოქალაქე და კოალიცია ქართული ოცნება*

ახდენენ. პრესაში სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად სწორედ *ჟურნალისტი* იყენებს;

- რადიო მედიის ერთადერთი სეგმენტია, სადაც სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევა არ დაფიქსირებულა;
- მონიტორინგის პერიოდში სიძულვილის ენის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლენილა ასევე ტელეკომპანია *რუსთავი 2-ის* ეთერში, გამოცემებში: *24 საათი*, *ახალი თაობა*, *სარკე*, *გზა*, *რეიტინგი* და *თბილისელები* და შემდეგ იტნერნეტ პორტალებში: www.netgazeti.ge, www.tribuna.ge, www.liberali.ge;
- მონიტორინგის პერიოდში ხშირი იყო *განსაკუთრებით არაკორექტული* ეპითეტების სახით მსჯელობაში სუბიექტის ცხოველებთან შედარება. ყველაზე ხშირად სუბიექტს აიგივებენ „*კურდღელთან*“ და „*პინგვინთან*“. დეჰუმანიზაციისა და სუბიექტის (ინდივიდის თუ ჯგუფის) დემონიზებისთვის ასევე გამოიყენება ისეთი ფრაზები, როგორცაა *პოლიტიკური გვამი*, *დინოზავრი* და *მონსტრი*;
- ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინებია: *ავადმყოფი*, *გიჟი*, *ფსიქოპათი*, *ძალღი*, *პინგვინი*, *ვირთხა*, *ფინია*, *ლორი*...

სიძულვილის ენა სატელევიზიო ეთერში

რაოდენობრივი კვლევის შედეგები


20-29 აგვისტოს პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სიძულვილის ენის გამოყენების მიხედვით ტელეკომპანიები *მაესტრო* (30%), *იმედი* (24%) და *კავკასია* (23%) ლიდერობენ (იხილეთ დიაგრამა 2). კვლევის პერიოდში² ტელეკომპანია *რუსთავი 2 -ის* ეთერში არცერთხელ არ გასულა სიძულვილის ენის შემცველი მასალა.

² იგულისხმება 19:00-24:00 პერიოდში გასული მთავარი საინფორმაციო გამოშვებები და პოლიტიკურ თოქ-შოუები;

სიძულვილის ენა წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მონიტორინგი

ტელეკომპანია *მაესტროს* ეთერში სიძულვილის ენის გამოყენებით 181 წმ-ის განმავლობაში საუბრობდნენ, ტელეკომპანია *იმედი* და *კავკასიაზე კი* შესაბამისად 146 წმ-ის და 144 წმ-ის განმავლობაში. სამონიტორინგო პერიოდში სიძულვილის ენის გამომხატველი ფრაზები ყველაზე ნაკლებად საზოგადოებრივ მაუწყებლის ეთერში ისმოდა. (იხილეთ დიაგრამა 1)


დიაგრამა 1



ექვს ტელეკომპანიას შორის სიძულვილის ენის გამოყენების ყველაზე მაღალი პროცენტი ტელეკომპანია *მაესტროს* ერგო (30%)³. 24 %-ით მეორე ადგილს იმედი, მესამე ადგილს კი ტელეკომპანია *კავკასია* (23%-ით) იკავებს. (იხილეთ დიაგრამა 2)


³100%-ად აღებულია ყველა ამ ტელეარხზე სიძულვილის ენისთვის დათმობილი ჯამური დრო.

დიაგრამა 2




სიძულვილის ენის ადრესატის მიხედვით, ტელეკომპანია *იმედის* ეთერში სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად *კოალიცია ქართული ოცნების* მიმართ, ტელეკომპანია *მაესტროზე* - *პრეზიდენტის* მიმართ, ხოლო *კავკასიაზე* - *ხელისუფლების* მიმართ გამოიყენებოდა. (იხილეთ დიაგრამა 3)

დიაგრამა 3



სიძულვილის ენის წყაროს მიხედვით, ტელეკომპანია *მაესტროზეჟურნალისტები* და *მოქალაქეები* თითქმის თანაბრად იყენებდნენ სიძულვილის ენას. ტელეკომპანია *იმედი*, ისევე როგორ *საზოგადოებრივი მაუწყებლის* ეთერში, მხოლოდ *ლეიბორისტული პარტია* იყენებდა სიძულვილის ენას სხვა პოლიტიკური სუბიექტების მისამართით. ტელეკომპანია *კავკასიაზე* კი სიძულვილის ენით ყველაზე ხშირად *მოქალაქეები* საუბრობდნენ (61%), მაშინ როცა დანარჩენ შემთხვევებში (39%) სიძულვილის ენით თავად *ჟურნალისტები* საუბრობდნენ. (იხილეთ დიაგრამა 4)

დიაგრამა 4



თვისებრივი ანალიზი

სიძულვილის ენის ფორმები

ქართული ტელევიზორცეში სიძულვილის ენის გამოხატვის ფორმებიდან ყველაზე ხშირად *განსაკუთრებით არაკორექტული*⁴ დამოკიდებულების გამოხატველი

⁴ შედარება ცხოველებთან, ვამპირებთან, მუტანტებთან და ა.შ.

შეფასებები გვხვდება. ტელეარხების მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ხშირია პოლიტიკური სუბიექტების ცხოველებთან შედარების შემთხვევები.

ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინებია: *ფაშისტი, გიჟი, ფსიქიკურად შეშლილი, მუმია, პინგვინი, კურდღელი, შუშის კოლბის რაინდი და ბნელეთის მოციქული*.

კვლევის პერიოდში, ექვსი ტელეკომპანიის ეთერში, სიძულვილის ენის გამოყენების 44 შემთხვევა გამოვლინდა. მათგან თემატიკის მიხედვით შესაძლოა გამოვყოთ ექვსი პირობითი ჯგუფი: *ეთნიკური* (1), *რელიგიური* (1), *სოციალური კლასი*(1), *მენტალური* (7) და *იდეოლოგიური* (3). ყველაზე დიდი რაოდენობით კი ტელეკომპანიებში *განსაკუთრებით არაკორექტული* გამონათქვამები გვხვდება. მონიტორინგის შედეგად მსგავსი 31 შემთხვევა გამოვლინდა.

სიძულვილის ენის ადრესატი

მონიტორინგის სუბიექტებს შორის სიძულვილის ენის ადრესატი ყველაზე ხშირად *კოალიცია ქართული ოცნება* იყო (13 შემთხვევა). კვლევისთვის შერჩეულ ტელეკომპანიებში სიძულვილის ენა *პრეზიდენტის* მიმართით 10, *ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* მიმართ კი 5 შემთხვევაში გამოვლინდა.

სიძულვილის ენის წყარო

კვლევის შედეგების თანახმად, მონიტორინგის სუბიექტებიდან სიძულვილის ენის წყაროს ყველაზე ხშირად *ლეიბორისტული პარტია* წარმოადგენდა (13 შემთხვევა). მონიტორინგმა გამოავლინა *ლეიბორისტული პარტიის* წევრების *განსაკუთრებით არაკორექტული* გამონათქვამები, რომლებიც საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებში მოხვდა.

მაგალითად, 20 აგვისტოს, *მეცხრე არხმა* საინფორმაციო გამოშვებაში „ახალი 9-ზე“ გააშუქა *ლეიბორისტული პარტიის* წევრის - გიორგი გუგავას კომენტარი, რომელიც შეიცავდა *განსაკუთრებით არაკორექტულ* შეფასებას მონიტორინგის სუბიექტის - *კოალიცია ქართული ოცნების* ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მიმართ:

"გამოდი თუ კურდღელი არა ხარ, გამოდი თუ პინგვინი არა ხარ ვოლიერში შემძვრალი, გამოდი და დაჯექი დებატებზე".

კოალიცია ქართული ოცნება თავის მხრივ ხუთ შემთხვევაში იყო სიძულვილის ენის წყარო. მონიტორინგის ყურადღების არეალში მოხვდა კოალიციის წევრის აკაკი მნელაძის კომენტარი ტელეკომპანია *მაესტროს* ეთერში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიმართ სიძულვილის ენას (მენტალური შესაძლებლობების ნიადაგზე) შეიცავდა:

"მხოლოდ და მხოლოდ ტვინჩაზნეილი ადამიანი ვერ მიხვდებოდა რაზე იყო საუბარი."

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, *პრეზიდენტი* ხუთჯერ იყო სიძულვილის ენის წყარო. *პრეზიდენტის განსაკუთრებით არაკორექტული* გამონათქვამები გაშუქდა ტელეკომპანია *მეცხრე არხის* რამდენიმე გადაცემაში. 21 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში „ახალი 9“ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოყენებული სიძულვილის ენის შესახებ სიუჟეტი გავიდა. გადაცემის წამყვანმა ნათია ლაზაშვილმა ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოყენებული *განსაკუთრებულად არაკორექტული* გამონათქვამები შეკრიბა, რომლებიც, სავარაუდოდ, კოალიცია ქართული ოცნების მიმართ იყო ნათქვამი: **"უწმინდურები, მუმები, ბინძური მეტოქეები, წარსულის გადმონაშთები, ბნელეთის მოციქულები, რუსული ჩეშმის მლოკავები - ეს არის ენა, რომლითაც პრეზიდენტი პოლიტიკურ ოპონენტებს ესაუბრება,"** - მიხეილ სააკაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ 8 შემთხვევაში სიძულვილის ენის წყარო თავად ჟურნალისტი იყო. აქედან ოთხ შემთხვევაში სიძულვილის ენა ტელეკომპანია *კავკასიის* ეთერში *ჟურნალისტმა* დავით აქუბარდიამ გამოიყენა. *ჟურნალისტი* მიუთითებდა *სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და ხელისუფლების წარმომადგენლების* იდეოლოგიაზე:

*„ამასწინათ ფეისბუქზე წავიკითხე, მცირედთა და გონიერთა მართვაო. ფაშისტური იდეოლოგია აქვთ ამ იდიოტებს... ის, ვიღაც აყლავდა ქალი რომ არის, რაღაც საშინელებები დაწერა“; .
" მოგელაძის კანტორა... სუფთა გესტაფოვშიცაა! "*

ასევე 8-ჯერ დაფიქსირდა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევა მოქალაქეების მხრიდან. კავკასიის ეთერში სიძულვილის ენა გამოიყენა მოქალაქემ რელიგიურ კონტექსტში:


“ზელისუფლება სააკაშვილის მეთაურობით ყველაფერზე წამსვლიელია. სატანისტები არიან და ხალხის საწინააღმდეგოდ ყველაფერს გააკეთებენ, ოღონდ თავიანთი გასასქელებელი ადგილი შეინარჩუნონ“.

სიძულვილის ენა პრესაში


რაოდენობრივი კვლევის შედეგები

მონიტორინგის ფარგლებში შერჩეული გაზეთებიდან სიძულვილის ენას ყველაზე დიდი ფართობი დაუთმო *ასავალ-დასავალმა*, *ალიამ* და *კვირის პალიტრამ*. (იხილეთ დიაგრამა1) სიძულვილის ენის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა შემდეგ გამოცემებში: *24 საათი*, *ახალი თაობა*, *სარკე*, *გზა*, *რეიტინგი* და *თბილისელები*.

დიაგრამა 1




დიაგრამა 2



გამოცემების უმეტესობაში სიძულვილის ენის ადრესატი ყველაზე ხშირად *პრეზიდენტი* იყო. კერძოდ, *ასავალ-დასავალში* *პრეზიდენტი* დათმობილი ფართობის 81%-ის შემთხვევაში იყო სიძულვილის ენის ადრესატი, *კვირის ქრონიკაში* - 52%-ის, *კვირის პალიტრაში* - 59%-ის, *პრაიმთაიმში* კი - 75%-ის შემთხვევაში. *ალიაში*


სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად *მთავრობის* მიმართ გამოიყენებოდა (39%), (იხილეთ დიაგრამა 3)

დიაგრამა 3



სიძულვილის წყაროს მიხედვით, გაზეთების უმეტესობაში თავად *ჟურნალისტი* ლიდერობს. გაზეთ *ასავალ-დასავალში* *ჟურნალისტი* სიძულვილის ენის წყაროს 87%-ის, *ალთაში* - 59%-ის, *კვირის ქრონიკაში* - 46 %-ის, *კვირის პალიტრაში* კი - 40% ის შემთხვევაში წარმოადგენდა. განსხვავებული სურათია გაზეთ *პრაიმთაიმში*, სადაც სიძულვილის ენის წყაროდ *კოალიცია ქართული ოცნება* გვევლინება (69 %). (იხილეთ დიაგრამა 4)

დიაგრამა 4



თვისებრივი ანალიზი

საკვლევი სუბიექტებიდან სიძულვილის ენა ყველაზე მაღალი სიხშირით *პრეზიდენტთან* მიმართებაში გამოიყენებოდა. ძირითადად ეთნიკურ, რელიგიურ, მენტალურ ნიადაგზე. *პრეზიდენტისადმი* ეთნიკურობის ნიადაგზე სიძულვილის ენის გამოყენების აქტუალიზაცია განაპირობა მიხეილ სააკაშვილის მიერ ახალციხეში რეაბილიტირებული რაბათის ციხის გახსნამ. ამ მოვლენის შემდგომ პრესაში მთელი კვირის განმავლობაში იბეჭდებოდა *პრეზიდენტის* მისამართით სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები.

ასავალ-დასავალი. 27.08.2012. „ისე კი თუ სომეხი ხარ, სომეხი უნდა იყო, ხოლო თუ საქართველოს სათავეში ხარ, ქართული საქმე უნდა აკეთო“, - გურამ სოსელია, საზოგადოება "მემორიალის" ხელმძღვანელი

ასავალ-დასავალი. 20.08.2012. „მიხეილ სააკაშვილის გასაგონად ვამზობ, ნუ ღრიალებს გასიებული ლაყუჩებით, თორემ დადგება მაგის განკითხვის დღე, მაგის დღესასწაული სუფსარქისობაა და დიდგორობა ჩვენ ქართველებს დაგვანებოს,“ - რეზო ამამუკელი, მოქალაქე.

პრეზიდენტის მიმართ გამოიყენება დამაკნინებელი კომენტარები როგორც მენტალურ თემაზე (ხშირად გამოყენებული ტერმინები: *ავადმყოფი, გიჟი, ფსიქოპათი*), ასევე გარეგნობაზე. პრეზიდენტი ხშირად შედარებულია ამა თუ იმ ცხოველთან (*ვირთხა, ფინია, ღორი, ძაღლი*). უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ *ასავალ-ასავალში* შეინიშნება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჰიტლერთან შედარების ტენდენცია. 27 აგვისტოს ნომერში სააკაშვილის ფოტო ჰიტლერის ულვაშებით სამჯერ გვხვდება.

ამასთან, სუბიექტი „პრეზიდენტისადმი“ სიძულვილის ენა ერთმნიშვნელოვნად გამოყენებულია უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. არც ერთ გამოცემაში მის ადმინისტრაციასა და მრჩეველების მიმართ სიძულვილის ენა არ გამოუყენებიათ.

სიძულვილის ენა პრესაში გვხვდება მთავრობის კონკრეტული წარმომადგენლების მიმართაც.

27.08.2012. ჯერ ერთი, მაგ შენს "ბეჩლამაზა" ლევან ვარშალომიძეზე მთელი ქვეყანა იმას ლაპარაკობს, რომ ვარშალომიძეს "საწყობში" არც "ჩაზნეცილი" აქვს და არც "ამოზნეცილი"! - ჟურნალისტი.

სიძულვილის ენა ასევე მაღალი სიხშირით გამოიყენება ხელისუფლების მიმართ. ფიქსირდება კომენტარები გენდერის თემაზე, გარეგნობაზე და მენტალობაზე.

20.08.2012. ასავალ-დასავალი: „ესენი [ხელისუფლება] არიან ავადმყოფები, დაავადებული აქვთ ფსიქიკა, მე მათში კაცი ვერ ვნახე ვისც ნორმალური ფიზიონომია და აღნაგობა აქვს“ - ინტერვიუ ვალერი გელაშვილთან, კოალიცია "ქართული ოცნება"

20.08.2012. ასავალ-დასავლი. „ჩვენ გვყავს ჰერმაფროდიტი ხელისუფლება, რომელიც არც კაცია, არც ქალი, შესაბამისად კაციცაა და ქალიც ანუ არაფერი არ არის,“ - ინტერვიუ გოჩა მსხილაძესთან, მოქალაქე.

მონიტორინგის პერიოდში, ადგილი არ ჰქონია ოპოზიციისადმი, როგორც სუბიექტისადმი⁵ სიძულვილის ენის გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ პრესაში სიძულვილის ენას იყენებენ არა მხოლოდ რესპონდენტები, არამედ თავად ჟურნალისტებიც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გამოცემათა უმეტეს შემთხვევაში სწორედ ჟურნალისტები ახდენენ სიძულვილის ენის ტირაჟირებას.

27.08.2012. კვირის ქრონიკა: „ქვეყანამ იცის, რომ ზოგს პარლამენტის შესახვევთან აქვს ტრაკი გადადებული შარაზე, ზოგს - ცირკთან, ზოგს ავლაზრის რეზიდენციისკენ მიმავალ გზაზე და ზოგს კანცელარიის ნაძვების ძირას,“ - ჟურნალისტი.


სიძულვილის ენა ინტერნეტში

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

საკვლევ პერიოდში სიძულვილის ენის ფაქტები ყველაზე ხშირად ინტერნეტ-გამოცემა www.presa.ge-ზე დაფიქსირდა (342 სიტყვა). აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ-გამოცემებში www.netgazeti.ge, www.tribuna.ge, www.liberali.ge სიძულვილის ენის ტირაჟირების შემთხვევა არ გამოვლენილა. (იხ. დიაგრამა 1)


⁵ მონიტორინგის ფარგლებში, ცალკეული ოპოზიციური პარტიების გარდა მონიტორინგდება ოპოზიცია სპეციფიკაციის გარეშე (კრებითად).

დიაგრამა 1




მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სიძულვილის ენის შემთხვევებიდან (ჯამში 683 სიტყვა) უმეტესი წილი www.presa.ge-ზე მოდის (50%). სხვა გამოცემებთან შედარებით, [news.ge](http://www.news.ge)-ზე სიძულვილის ენას მცირე ფართობი დაეთმო (იხილეთ დიაგრამა 2).

დიაგრამა 2




სიძულვილის ენის ადრესატები ყველაზე ხშირად *კოალიცია ქართული ოცნების* წევრები, *ხელისუფლების* წარმომადგენლები და *პრეზიდენტი* ხდებიან. (იხილეთ დიაგრამა 3, დიაგრამა 4, დიაგრამა 5)


დიაგრამა 3



იაგრამა 4




დიაგრამა 5




დროის მოცემულ მონაკვეთში ინტერნეტ პორტალებზე www.for.ge და www.presa.ge პოლიტიკურ სუბიექტებზე ხშირად სიძულვილის ენის წყაროდ ჟურნალისტები გვევლინებიან. (იხილეთ დიაგრამა 5, დიაგრამა 6, დიაგრამა 7)


დიაგრამა 6



დიაგრამა 7



დიაგრამა 8



თვისებრივი ანალიზი

მონიტორინგის პერიოდში სიძულვილის ენის ისეთი ტიპური კატეგორიები გამოიყენებოდა, როგორცაა მაგალითად სუბიექტის ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთან გაიგივება. ამ შემთხვევებში სიძულვილის ენა მიმართულია არა სუბიექტის დამაკნინებლად მიჩნეული ობიექტური თვისებების საფუძველზე დისკრიმინაციისთვის, არამედ თავად გამოიყენება დამაკნინებელი ეპითეტების სახით.

*For.ge, 23/08/2012 "საკაშვილი გიგია და მისი ადგილი საგიგეთშია", -
გუბაზ სანიკიძე, კოალიცია ქართული ოცნება.*

ინტერნეტ პორტალების მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სიძულვილის ენის ადრესატის მიმართ გამოთქმულ განცხადებებში ყურადღება სუბიექტის სქესობრივი კუთვნილებაზე მახვილდებოდა. რიგ შემთხვევებში, სექსისტური აქცენტები სხვა კატეგორიის დამაკნინებელ განცხადებებს დამატებით ერთვის:

Presage, 24/08/2012 „...საკმაოდ კარგადაც "იჩალოჩა" და ბიძინაც დაითანხმა, მაგრამ "დედა ბუს" "ეროვნული ფორუმის" ლიდერებმა აჯობეს... „დედა ბუ“ ბოლომდე ვერ ეგუება, რომ ამბროლაურში თავისი კაცი ვერ დაასახელა...ერთ მხარეს ეს სამეული და მათი დამქაშები არიან, მეორე მხარეს კი, ლეგენდარული „დედა ბუ“ და მისი ფავორიტი, დეპუტატობის კანდიდატობიდან უარყოფილი ვინმე თევზაძე.“ - ჟურნალისტი

ხშირია განსაკუთრებით არაკორექტული ეპითეტების სახით მსჯელობაში სუბიექტის ცხოველებთან შედარება. ყველაზე ხშირად სუბიექტს აიგივებენ *კურდღელთან* და *პინგვინთან*. დეჰუმანიზაციისა და სუბიექტის (ინდივიდის თუ ჯგუფის) დემონიზებისთვის ასევე გამოიყენება ისეთი ფრაზები, როგორცაა *პოლიტიკური გვამი*, *დინოზავრი* და *მონსტრი*.

სიძულვილის ენა წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მონიტორინგი

*For.ge, 27/08/2012. “როგორც ყველა უსაქმური ენჯელოშნიკი, შაშკინიც ჩვეულებრივი ქათამია და, საკითხავიც არ არის, ვისი სისხლია დასალევი და ვისი დაილევა...” -
ჟურნალისტი.*

სიძულვილის ენისა და განსაკუთრებით არაკორექტული გამონათქვამების ავტორებად პოლიტიკოსებთან ერთად, თავად ჟურნალისტებიც გვევლინებიან.

27.08.2012. For.ge. „ ... მაგრამ საინტერესოა ის წარწერები, რომლებსაც სპირტში ჩალაგებულ ექსპონატებზე მიაკრავენ: „გიგი წერეთლის ტვინის მარცხენა დუნდულა“; „გოკა გაბაშვილის ტვინის მარჯვენა დუნდულა“, „კობა ხაბაზის ტვინის ანუსის ხვრელი“ და ა.შ. [...] აი, შენ კი დაგიტომო რამდენიმე წუთი არმაგედონის ზანგმა! [...] შენ კი მოგხვდა ბეთქილ შუკვანის! [...] შენ კი დაიჭირე... [...] შენ კი მიიღე განსაკუთრებული ზომის,“ - ჟურნალისტი

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში ინტერნეტ გამოცემებში „www.netgazeti.ge“, „www.liberali.ge“, „www.tribuna.ge“ სიძულვილის ენის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.